

**ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომის  
ოქმი №3**

22 აპრილი, 2021 წელი

ქ. ზუგდიდი

ვინაიდან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი, (ამასთან 3 წევრზე მეტი) კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება.

**კომისიამ მოისმინა:**

კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, იმასთან დაკავშირებით, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საკონკურსო კომისიის 2021 წლის 06 აპრილის N1 სხდომის ოქმის 2.11.2. პუნქტში გამორჩენილია შემდეგი წინადადება: „საშუალო არითმეტიკულით, რაც წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულას.“ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის ოქმში უნდა შევიდეს შესწორება.

საკონკურსო კომისიამ განიხილა სხდომის ოქმში შესწორების შეტანის საკითხი და საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის (შემდგომში - „წესი“) მე-19-ე და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**და ა დ გ ი ნ ა :**

კონკურსის ჩატარების წესის 2.11.2. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თითოეული კანდიდატის მიმართ არსებულ შეფასების ფურცლებში ასახული შეფასებების გათვალისწინებით, კომისია დაიანგარიშებს შეფასების ქულას საშუალო არითმეტიკულით, რაც წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულას.“ აღნიშნული შესწორება წარმოადგენს 2021 წლის 06 აპრილის N1 სხდომის ოქმის განუყოფელ ნაწილს.